



# ნ ა მ ს ა მ ს ო რ დ ა




30/4  
5  
361

## რა შეიძლება გამოსწორდეს

„საბჭოთა კავშირთან ომში სამი თვის განმავლობაში გერმანიის არმიამ დაჰკარგა სამი მილიონი კაცი. პიტლერი და მისი ბანდა ხალხს უშალავს გერმანიის არმიის დანაკლისს“.

სიკვდილი (პიტლერს) — ამ სამ თვეში ორი შეცდომა ჩაიდინე ჩემო თანაშემწე: პირველი იყო საბჭოთა კავშირზე თავდასხმა და ამ შეცდომას ცოცხალი თავით ვეღარც გამოასწორებ, რისთვისაც მე მოხარული ვარ; მეორე შეცდომა კი ის არის, რომ შენ გამოგრჩა დაგესახელებინა გერმანიის არმიის ჯარალი; შეგიძლიან ეს შეცდომა შეასწორო ჩემი სტატისტიკის მიხედვით.

ნახ. ს. ნადარეშივილისა



ირანში ჰიტლერის აგენტები ავრ-  
ცელებდნენ ჰორებს, რომ გერმანელები  
და ირანელები ერთი ტომის ხალხია,  
რომ ჰიტლერმა მიიღო მაჰმადიანობა  
და ამიერიდან იგი გაიდარის სახელს  
ატარებს.

გერმანელი პროვოკატორები 28 აგ-  
ვისტოსათვის თავრიზში სომხების უღე-  
რას აპირებდნენ.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

რამდენიმე წლის წინად „ფიურერის“ კაბინეტში  
ბრიტანეთის ელჩი იჯდა. ჰიტლერს სტუმრისათვის  
თვალი თვალში გაეყარა და დაშაქრული გამომეტყ-  
ველებით საუბრობდა:

— ბრიტანელები? ჩვენ და ბრიტანელები ერთი  
არიული გულის ორი სისხლის წვეთი ვართ. რა  
გვაქვს თქვენთან გასაყოფი? ჩვენ მხოლოდ ფრანგებს  
ვემტერებთ. ჩვენ მხოლოდ მათთან გვაქვს ანგარი-  
შები. უუ მათი!..

მეორე დღეს იმავე კაბინეტში საფრანგეთის ელჩი  
იჯდა.

— ფრანგები?! ჩვენ და ფრანგები? ათადან ბა-  
ბადან მეზობლურად გვიცხოვრია, ერთი ჭირი და  
ლხინი გვქონია. რა გვაქვს ფრანგებთან გასაყოფი?  
ჩვენ მხოლოდ ბრიტანელებს ვერ ვიტანთ. ჩვენ მხო-  
ლოდ მათთან გვაქვს გასასწორებელი ანგარიშები...  
უუჰ, მათი!..

ამერიკის ელჩთან ფიურერი ასეთი ტონით ლუ-  
ღუნებდა:

— მე მიყვარს ამერიკა.— მოხიბლული ვარ თქვე-  
ნი დიდი ცივილიზაციით, ამერიკელ მწერლების რო-  
მანებს მე რამდენჯერმე ვკითხულობ. ხანდახან მე  
მჩვენება, თითქოს ერთი მეორიდან ასე დიდი სიერ-  
ციტ დაშორებული ამერიკის და გერმანიის ხალხების  
გულეები ერთ მკერდში სცემდეს. შეიძლება მზემ და-  
საგლეთით იწყოს ამოსვლა, მდინარეები აღმა წავი-  
დეს, დედამიწის სრბოლამ მიმართულება შესცვა-  
ლოს, მაგრამ არასოდეს არ შეიცვლება ჩემი სიყვარ-  
ული ამერიკის ხალხებისადმი.

— ირანის ელჩი გეახლათ.— უთხრა მარტოდ დარ-  
ჩენილ „ფიურერს“ მდივანმა.

- რა უნდა?
  - ითხოვს ჰერ ადოლფი უნდა ვნახო?
  - რაო? ირანის ელჩი? ჰერ ადოლფიო?! უთხა-  
რი, რომ დღეიდან ეგ სიტყვა აღარ გამოგონოს!  
უთხარი რომ მე ამიერიდან ადოლფი აღარ მქვია.
  - მაშ რა უნდა გერქვათ?— იკვის თვალთ  
იკითხა მდივანმა.
  - მუსლიმანებისათვის მე სხვა სახელი უნდა და-  
ვირქვა.
  - მაინც.
  - რა სახელები იცი თურქულ-ირანული?
  - ჯემალი, ქემალი.
  - არ ივარგებს
  - აბდულ.
  - არც ეგ ივარგებს.
  - ომარ.
  - არც ეგ.
  - გაიდარ.
  - გაიდარ — გაიდარ— გაიდოლ— ადოლ— ადოლფ!
- ზედგამოჭრილია. ამიერიდან მე გაიდარი ვარ!
- კარგია. მაგრამ ეგ სიტყვა ქრისტიანულ სახე-  
ლებს არ ეგუება.
  - ჰო მართლა, ძალიან გამახსენე: მუსულმანებ-  
თან ხმა გაავრცელე, რომ მე ამიერიდან სარწმუნო-  
ება გამოვიცვალე და მაჰმადიანი ვარ. მოიტანეთ  
მაჰმადის სურათი. ნახევარ მთვარეც, ჩამოჰკიდეთ  
ჩემს კაბინეტში.
  - სხვებს რომ ეწყინებთ?
  - სამუდამოდ არა, ხან ჩამოკიდეთ, ხან გაათ-  
რიეთ, საქირობის მიხედვით.
  - ორი წუთის შემდეგ მის კაბინეტში ირანის წარ-  
მომადგენელი იყო.
  - იაშასუნ ყარდაშ, იაშასუნ! ალა-ილა ილ ალაჰ!  
დიდარს ალაჰი, რომ ჩვენ ერთმანეთს გვახვედრებს.  
ჩვენ ერთმანეთისთვის უცხოელები არა ვართ. მე  
გულში ჩამწვდა დიდი ალაჰის ზეშთამაგონე ხმა და  
თვალი ამიხილა. დიდი ღვთაების განგებით მე გუ-  
ლისხმავყავ რომ ჩვენ, ირანელები და გერმანელები  
ერთი წმიდა არიული რასის ჩამომავალი ვართ. ამი-  
ერიდან მე რჯულიც შევიცვალე: თქვენთან ლაპარა-  
კობს, მმოსავი ალაჰის წვერისა, მონა მუჰამედისა  
აბდულ აიდარ—წუწყინ—ჰიტლერ—ოლლი.
  - სასიამოვნოა!— ეშმაკური ღიმილით თქვა სტუ-  
მარმა და თან დაუმატა:
  - შიიტი ხართ თუ სუნას მოძღვრებას იზიარებთ?

„ფიურერი“ შეეყოყმანდა.  
— თქვენ რომელს ემხრობით?  
— შიიტი ვარ, მაგრამ სწინტებსაც პატივს ვცემ.  
სექტანტურ კარჩაკეტილობას დღე-ღამე მთავრად  
პანისლამისტურ მიზნებისათვის.  
ფიურერმა ნახა გამოსავალი.  
— ხანდახან მეც შიიტი ვარ, მაგრამ ხანდახან  
ორივე შემოძლია ვიყო. გადავიტოვო ირანელ ხალხს.  
რომ მე მათი სისხლი—და ხორცი და ამასთან მათი  
ერთმორწმუნე გაიდარი ვარ. დიდარს სახელი ალაჰ-  
ისა! ალა ილა ილ ალაჰ! იაშასუნ ირან! იაშასუნ!

\*  
\* \*

— დაშაკაცუტუნის წარმომადგენლები გეახ-  
ლათ!— უთხრა მდივანმა.

— არ გაიკარო! ენა აქვთ გაცვეთილი ჩვენი  
მტრების—ინგლისელებისა და ამერიკელების ფეხების  
ლოკვით და ჩემთან რა პირით მოდიან? დაიკარგონ  
აქედან! თუშეა მოიცა, მოვიდნენ.

და სტუმრობით „მხიარულმა მასპინძელმა“ ასეთი  
საუბარი გამართა:  
— გაუმარჯოს დიდი ჰაოსის სახელოვან მემკვიდ-  
რებს. მე ვიცი თქვენი გულის ფეთქვის საგანი. მე  
პირადად მრავალი ლამეები გამოთევია დიდებული  
სომხეთის მომავალზე ფიქრით. მე აღვადგენ თქვენს  
სებრძანებელს. საზღვრებსაც ჩემი ხელით დავიწე-  
ნებთ: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. დარუბან-  
დის ბჭეებიდან ეფრატის ხეობამდე.

მეორე დღეს ირანიდან დაბრუნებულ აგენტს „ფი-  
ურერი“ ეუბნებოდა:

— მაშ თქვენ გინდათ სომხების უღელთა რანდი-  
დან დავაწყობთ? რატომ მაინცდამაინც ირანიდან?  
შეიძლება თურქეთიდან დაგვეწყო, მაგრამ სულ  
ერთია... რაო? თავრიზში მათი დარბევის დღეთ 28  
აგვისტო დანიშნეთ? თანახმა ვარ. თუშეა არ მომწონს  
28 აგვისტო, ძალიან შორს არის.

მართლაც ძალიან შორს აღმოჩნდა 28 აგვისტო.  
ჯამბაზებს ჩეშალათ თავიანთი გეგმები. წითელი  
არმიის შესვლამ ირანში იხსნა ირანელი სომხები  
„დიდებული სომხეთის აღდგენაზე მეოცნებე“ ჯამ-  
ბაზის მიერ დარბევისგან.

ს. ისარიძე

ი ტ ა ლ ი ა შ ი

„იტალიის კუნძული სარდინია ამჟამად სავსებით გერმანიის კონტროლის ქვეშ იმყოფება და იტალი-  
ელებს იქ არ უშვებენ“.

ნახ. გ. თოიძისა



ქმარი — წარმოიდგინე, ჩემო მეუღლე, დამხსიწმრა თითქოს ჩვენი იტალია ინგლისელებმა კი არა, ჩვენმა  
მოკავშირე და თანამოაზრე გერმანელმა ფაშისტებმა გაძარცვეს.  
ცოლი — ეხ, გეთყვა, სიწმარი კი არა, ცხადია. გადაიხედე ფანჯრის იქით და დარწმუნდები.



— ნეტავი რატომ უყურებს ასეთი გაბრაზებით ის მაიმუნი ჰებელსს?  
— ჯერ ეს ამისხენით რომელია ჰებელსი და რომელია მაიმუნი.

### ვილი მაისის ოცნება

ვილი მაისი პატარა იყო, როდესაც მისმა მამამ რუსეთიდან დიდი სკივრი ჩაიტანა.  
 — ხისაა, მაგრამ კარგია. ნახეთ, შიგ რა ამბებია!  
 „კიღობანი გახსნეს, ჰპოვეს მუნ აბჯარი...“ აბჯარი კი არა, მრავალი საოჯახო ნივთი, ეს იყო პირველი იმპერიალისტური ომის დროს.  
 ვილი ბევრჯერ ჩამძვრალა იმ სკივრში და ბევრჯერ უცემიათ ამისთვის.  
 ახლა ვილი ეფრეიტორია და აღმოსავლეთის ომში გამოგზავნეს. ვეტერანი მამა—ისტორიული სკივრის მიმტანი რუსეთიდან — შინ დარჩა.  
 — აბა შენ იცი, შვილო, არ ჩამორჩე მამას, — დაარიგა ფრთხილად, — წამოიღე ყველაფერი, რაც შესაძლებელია...  
 — კი, კი... — დააიძვრა ვილიმ და გზას გამოუდგა.  
 დაგვაიწყდა გვიტყვა, რომ ვილი მაისი ცოტა ყვეჩიხა. ამას ამტკიცებს დედის — ფრთხილად მაისის წერილი:  
 „შვილო ვილი, რატომ ხარ ეგეთი დოცლადი? პიტი კლაპენი ჩინით შენზე პატარაა და სამი პალტო გამოგზავნა მაგ ფრონტიდან. მამაშენმა შემოგიტვალა, თამბაქოც გამოგზავნეთ. ეს ხის სკივრი დალბა, რკინით მოჭედული იშოვე და შიგ ჩააწყე ყველაფერი“.  
 ვილი, მართალია, ხებრეა, მაგრამ ის კი ესმის, რომ აწაპნა ყოველი გერმანელი ეფრეიტორის სახელის და ღირსების საქმეა. ამიტომ სულ მოკლე ხანში იშოვა: ორი ბალიში, სამი საბანი, ერთი ქვაბი, თხის ქურჭი, ქუდი, ცალი ჩექმა და რამდენიმე ცალი პირსახოცი.  
 „დედ-მამავ! — სწერს იგი, — ბევრი რამ ვიშოვე, აი სია... მაგრამ დაჭედული სკივრი მაკლია, რომ შიგ ჩააწყო და გამოგზავნო. პიტი კლაპენმა, სხვათა შორის, ჩირი მოგჭამათ. მისი ნაძარცვი მე დამრჩა... ამ დღეებში მოჭედულ სკივრს ვიშოვნი და როცა მიიღებთ, მამაჩემის სკივრთან დადგით...“  
 ოლონდაც, რომ მოჭედულ სკივრს დიდი სიამოვნებით დაიდგამდა ფრთხილად მაისი, თუ ვილის მართლაც გაეგზავნა ასეთი.  
 საქმე ის არის, რომ ეს ქურდ-ბაყაყა ეფრეიტორი, რომელსაც მხოლოდ სკივრი-და აკლდა, ჩვენს ხაფანგს წააწყდა და ორივე ფეხით გაება შიგ.  
 ახლა ვილი მაისი, ყოფილი ეფრეიტორი, ეს დატყვევებული მაროდორი, ზის და ცრემლებს ღვრის დაკარგული თავის გამო: დაჭედული სკივრებისათვის აღარ სჯებია.

ა. ცალქალაშანიძე

თვით ჰებელსმა ჰებელსურად ცბიერმა და მკვეხარამ, გადმოაგდო ენა სრულად და გასძახა ქვეყანას:

ინგლისსა და ამერიკას თუმცა სურთ ჩვენი დამხობა, განა რუსთან, ბოლშევიკთან შეუძლიათ თანხმობა?!

მაშ იმედი გულში გვჭონდეს, ვიცი, როგორც წესია, არ შესდგება არასოდეს მათი კონფერენცია.

მაგრამ როცა მოსკოვს შესდგას დიადი თათბირი, არც გაწითლდა, ისე მიდგრად ღმუის როგორც ნადირი...

ძმებო, ხომ გაქვთ ჩემი ნდობა? მე ვარ ამის თავდებად, სამ წელიწადს მათი სხდომა, ვიცი, არ გათავდება.

და სამი დღეც არ გასულა. როგორც უკეთესია, მოკლე ხანში დაასრულა საქმე კონფერენციამ.

და ჰებელსი აწრიალდა, საქმე არის ნაძრახად; ჩაფიქრდა და მერე მარდად კვლავ ღრიალით გასძახა:

— ჰეი, ჩვენში ლაჩარს ვინ ჰგავს, რად წვიმს (კრემლი ღვარებად? გწამდეთ, ინგლის-ამერიკა რუსეთს არ ეხმარება.

დაიშალა ვიცი ნაღდად მათი ძმობის კრებული, თორემ საქმე ვის უნახავს ასე მოსწრაფებული...

მოჰქუხს სიტყვა უსუსური, არ დაზოგა ხელობა. ასეთია ჰებელსური ლოლიკური მსჯელობა.

დ. გაჩეჩილაძე



მეჩვევათ მოთამაშე



მნაჭარბალა

მოქნილ ენას დაუღლეღლად იქნევს, როგორც ბლაგვ ლეკურსა, ხალხში სთესავს „ცხელ-ცხელ ამბებს“, აქეთურსა, იქითურსა, და არ გრძნობს, რომ ყოველ ბიჯზე მტერი ფხიწლად უგდებს ყურსა.



ჭორიკანა:

ამ ლაქლაქას ვერ ნახავთ, რომ „თავი სადმე გაიწილოს“ მიკროსკოპულ ყაიდაზე გეშავს ტვინს და სიტყვის კილოს, რასაც ნახავს, აწვიადებს, თვით ბუზსაც კი აქცევს სპილოდ.



პანიკიორი

აბლაბუდას უგავს ფიქრი, „ფრთხილია და თან გულჩვილი“, ყველგან რაღაც ელანდება, საკუთარი აფრთხობს ჩრდილი, ფანტაზიით შექმნილ „საფრთხეს“, გაურბის — ხმაჩახლეჩილი.

სადაც ნახავ ამისთანებს, დაჭარ, ნურვის დაინანებ.

ბერლინის ქუჩაზე, სასურსათო მაღაზიის წინ დიასახლისების გრძელი რიგი დგას. მაღაზია დაკე... ლია, მაგრამ შუშის ფართო ვიტრინებიდან აშკარად სჩანს, რომ შიგ არაფერია გასაყიდი. დიასახლ... ბი მაინც დგანან, მოთმინებით გატანჯულნი, შიმშილით, დარდით დაქანცული სახეებით, ნაღვლა... მაგრამ აღშფოთებული თვალებით.

— სჩანს დღესაც უშედეგო იქნება ჩვენი ლოდინი. — ამბობს ერთი დიასახლისი თავისთვის. — ალბად უშედეგო იქნება, — დასძენს მეორე — (ისიც თავისთვის). მცირე პაუზის შემდეგ მესამე დიასახლისი იწყებს (თავისთვის): — უცნაურია, რომ აქ სულ ასეა, გასულ თვეში ქვანახშირისაგან გამობდილ კარაქის ერზაცს ა... გებდნენ, ახლა ისიც იშვიათად არის. ხორცი, კართოფილი, პური — უკვე დავიწყებას ეძლევა; მერე — გორ ტლანქად იცის ამ გამყიდველმა ლაპარაკი: მთელ დღეს უცდი, შეხვალ, ეკითხები და ის კი... ვად გესვრიო.

— არ არის. — არც ხვალ იქნება? — ეკითხებით თქვენ. — ხვალისთვის, ხვალ უნდა ვილაპარაკოთ, — შემოგიყვებებს ანჩხლად: — თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ფრიდრიხშტრასე ზე სულ სხვა მდგომარეობაა — აცხადებს მეოთხე... ასახლისი, — ფრაუ ინგებორგი, — იქაურ სასურსათო მაღაზიაში ზრდილობიანი ლაპარაკი იციან, რაც ზ... ვარია, იქ ყოველდღე არიგებენ...

ეს განცხადება პირდაპირ ჩოჩქოლს იწვევს, მოსაუბრეს სიტყვას აწყვეტინებენ, რიგში მდგომარე... ბევრი უკვე სტოვებს მწკრივს და დარბის ფრიდრიხშტრასესკენ, დანარჩენები ინგებორგს ეხვევიან. — განაგრძეთ, განაგრძეთ გეთავყავთ. — სიტყვით, სიტყვით ფრაუ ინგებორგი, რას არიგებენ? ინგებორგი სევდიანი ირონიით ილიმება და განაგრძობს: — არა, თქვენ მე ვერ გამოგივთ, მე ვლაპარაკობდი ზრდილობის შესახებ, იქაური გამყიდველები უ... ველდღე არიგებენ მომხმარებლებს. რომ თუ ვინიცობაა დღეს არაფერი გვექნა, იმედს ნუ დაჰკარგავთ, ხვალ რაიმე ერზაცი მოგვივა და გავყიდითო. — და მან მწარედ ამოიხრბა. — ეს, თქვენ ნერვებზე მოთამაშე ყოფილხართ, ფრაუ, თავიდანვე ასე უნდა გეთქვათ. უსაყვედურ... ბენ სხვები და ისინიც ოხრავენ.

ისევ ნოლიაბა უზველა

პიტლერული გერმანიის მცხოვრებნი ზიზლით უყურებენ რადიო-დანადგარებს. ამ მხრივ მცირე... მონაკლისს მხოლოდ ის ნაცისტები შეადგენენ, რომელნიც თანამდებობით ტყუილების გავრცელების სა... მეს. ემსახურებიან და კიდევ ისინი, ვინც ხალხის სისხლითა სჭამს ლუკმას. დიქტორი არტურ ტყუილპარდტიც ველარ იტანს რადიოს: — მომკლა ამდენმა სიცრუემ, დამახრჩო კაცი. — შესჩივის იგი სანდო ნაცნობებს, — სიმართლის რწმ... დამიკარგა ობერტყუილა ჰებელსის ინფორმაციებმა.

მართლაც მელანქოლიით შეპყრობილი არტური, სიმართლის წყურვილით დაავადმყოფდა. იგი თავ... გონებაში მექანიკურად ამცირებს იმ ციფრებს, რაც ჰებელსის ინფორმაციაში ფაშისტების წარმატებ... ბის დასადასტურებლად არის ჩაყრილი:

ესთქვათ, ჰებელსი სწერს: „ალმოსავლეების ფრონტზე ჩვენ ხელთ ვიგდეთ 3000000 ტყვე. ჩვენი დანაკარგი 50 კაცია“. არტურ ტყუილპარდტი ამ ციფრებს გონებაში აკლებს ხუთ ნოლს. აქედან სამ ნოლს უმატებს გერ... ნელების დანაკარგს, ხოლო ორ ნოლს პირდაპირ აჭარწყლებს გონებაში. და ლებულობს ასეთ ჯამ... „ჩვენ ხელთ ვიგდეთ 30 ტყვე, ჩვენი დანაკარგი 50.000 კაცია“. — აი, ეს არის სიმართლე, თუ მკითხავთ, — ფიქრობს იგი. წარმოიდგინეთ არტურის უბედურება: მ... ამ სიმართლის ნაწილი წამოსცდა მიკროფონთან:

„ჩვენ ხელთ ვიგდეთ 30 ტყვე“... შემდეგი სიტყვები ჯერ ნათქვამი არ ჰქონდა, როცა გაახსენდა, რომ მან გონებაში ჰებელსის ხუ... ნოლი მოიპარა. თავს ძალა დაატანა და გერმანელების დანაკარგისათვის გონებაში მიმატებული სა... ნოლი ისევ მოაკლო. მაგრამ რა გააწყოს ხუთი ნოლის შესახებ? — ეთერმა უკვე წაიღო სიმართლე. მეორე დღეს, ტყუილპარდტი, ტრიბუნალის წინ თავს იცავდა: — დამნაშავე ვარ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ და ისიც შეცდომით წამომცდა ის, რასაც ხალხი თ... თონ აკეთებს.

— რას აკეთებს ხალხი? — მრისხანედ შეეკითხა პროკურორი. — ჩვენს მიერ გადაცემულ ციფრებს ხალხი თვითონ აკლებს ნოლებს. ამიტომ გთხოვთ მაპატიოთ, ამას იქით ხუთ ნოლს ჩემის მხრით მოვუმატებ და ამით უზრუნველმე... ჰერ ჰებელსის ინფორმაციის ასი პროცენტით გასაღებას. — როგორ? — ეკლავ შეეკითხა პროკურორი. — ისე, რომ როცა ხალხი ჩემს გადაცემას ჩვეულებრივ ხუთ ნოლს მოაკლებს, ეს ხუთი ნო... ჩემს მიერ მიმატებული იქნება, ამრიგად ხალხი სიმართლედ მიიჩნევს დარჩენილ ჯამს. ესე... ჰებელსის ციფრებს უცვლელად ირწმუნებს. ამ გამოგონებისათვის არტურ ტყუილპარდტს აბატებს დანაშაული.



ჩვენებურად შემცველს ნიშნავს სიტყვა „ერეხი“ გერმანული, მან ბერლინში „გაიმარჯვა“, მისი შიშით უწუხებ გული.

სადაც წაველენ და წამოვლენ ერეხები ყველგან ხვედებოთ, ტანსაცმელად, ფეხსაცმელად, დასაღებად და საკვებად.

ვთქვით ძეგლები ვიტრინიდან კაცს იტაცებს, თითქოს სხივით, იყიდი და არ იკმება: გატენილი არის თივით.

ხედავს პური ეგონება, მაგრამ იცით არის რისგან? ეს ერეხი ფურნის ერეხის დაუცხვია ნახერხისგან.

ერეხების ფასმაც ბოლოს მტისმეტად მოიმატა, შველზე უფრო ძვირად ფასობს სახლში გამოწრდილი კატა.

ცხვრის ერეხი ძალი არის, მაგრამ შოვნა არის ძნელი, — გაწამებულ გერმანელ ხალხს დრო დაუდგა მეტად ბნელი.

ერეხები, ერეხები, არაფერი არ სჩანს მეთი, რადგან ერეხის ბონაპარტის ხელთ უპყრია ხალხის ბედი.

თავმოწონე ერეხი ტვინით, წინ მიუძღვის იგი ნაცებს, ავაჯაკებს მხეცის სახით, კაცის მჭამელ ერეხი-კაცებს.

პირიმალი

მსუქანი შუპირებებით

გერმანიაში უდიდესი სასურსათო სიმწიფეებია. გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“ მოსახლეობას ურჩევს: „კართოფილი გაუფცქენელი ჭამეთო“.

გაზეთებიდან

„ფელკიშერ ბეობახტერმა“ იფიცა უღვაშ-წვერიო, რომ კართოფილის კანითა გაძღება მთელი ერიო. თან ყველას ურჩევს გაუფცქენელ კართოფილს გაჭკრათ კბილით, და მაძლარ კუჭზე ზამთარში მოგივათ ტკბილი ძილიო. ხალხი კი ამბობს სურსათზე მხოლოდ ოცნებით „ვსტკებითო“, მსუქანი შუპირებებით ყოველდღე ვიკვებებითო; დილიდან საღამომდისინ რიგებში დგომით ვდნებითო, თუ კართოფილი არ არის კანს როგორ გაიხლებითო.

ი. ჯვიალაური




ფარაონ ხეობის პირამიდა, რომელიც ძველ ეგვიპტეში შენდებოდა 20 წლის განმავლობაში. მშენებლობა დამთავრდა 3666 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე და მასზე დახარჯულია 100000 მონის ყოველდღიური შრომა.



„ფიურერ“ ჰიტლერის პირამიდა, რომელიც აიგო აღმოსავლეთის ფრონტზე სამი თვის განმავლობაში, 1941 წლის 22 ივლისიდან 22 სექტემბრამდე. მშენებლობაზე დახარჯულია 2.000.000 ფაშისტი ჯარისკაცის თავისქალა.

ნახ. დონისა

გამფუქნელი და გასაფუქნელი



კარტოფილი (ფაშისტს) — ციც! მეც ხომ აღამიანი არა ვარ, რომ გამფუქნა? — თუ მიშოვი, ქერქიანათაც ნუ დამიწუნებ.

ფაშისტები, ერთ გრძელ თოქსე, რომელსაც ცხენი მიათრევს, მიაბამენ თავიანთ ჯარისკაცთა გვამებს და თრევით მიაქვთ ისინი ზურგში.

პიტლერმა დახურა ჩეხიაში და სლოვაკიაში ყველა უმაღლესი სასწავლებელი და სამკითხველოები.

გაზეთებიდან

გაზეთებიდან

ჰეინც — არის ოფიცერი ფაშისტური ჯარის, არის ლოთი, გაიძვერა, „ცოტა“ ქურდიც არის.

მკვდრებს ფეხებზე აბამს მყისვე გაწაფული ხელით. ოფიცერიც მომკვდარაო, თოქს მიაბა მებრად,

„არიულ კულტურას“ მრავალი ჰყავს მტერი, და მას მეცენატობს გულით „ფიურერი“.

„ამ კულტურას უნდა გავრცელება, „დაცვა“, და გუზგუზა ცეცხლში მავნე წიგნთა დაწვა“.

ასე ფიქრობს ხშირად მეთაური რასის, და გუზდება გულში უძლეურების ბრაზი,—

რომ კვლავ დარჩა სოფლად სამკითხველო ღია, და თაროზე მასში წიგნები აწყვია.

„ეს რას ნიშნავს! ბიჭებო! უმაღლესი სკოლა! ვინ გასწირა თავი ჩემგან ჩასაქოლად!“

დაისუროს ეხლავე! — ამბობს ფიურერი და ეცვლება მღელვარს სიბრაზისგან ფერი:

„იმ ბინების ფონდებს ხელს ნურავინ ახლებს, გადაეცეს სრულად საშეძაო სახლებს!“

ეფინება ქვეყნებს „კულტურების ბაზა“ რომ ფაშისტურ „სიბრძნით“ გაანათლოს მასა.

8—ზა



როცა ბრძოლა შენელდება, ჩრდილი დაჰკრავს მთებსა, ჩამოუვლის გასაძარცვად დაჰკრილებს და მკვდრებსა, ჰა ჩანთები გაუსინჯა შიგ არაყი ნახა,

მერე იმის გასათრევად ცხენს მათრახი დაჰკრა. დაფრთხა ცხენი, გაიტაცა მან ცხედრების მწყერივი. ცხენი მიჰქრის... ჰეინცი კი გაშმაგებით ჰკივის.



იქვე ჩაჯდა და ძაბრივით მოუშარჯვა ხახა. ერთი ყლუმბა, ორი, სამი... დაიამა გული მკვდრებზე თავი მიაბჯინა მოერია რული... უცბად გაჩნდა ჯარისკაცი თოქი მოაქვს გრძელი,

— ცოცხალი ვარ, ნუ მმარხავთო, ლალადებდა იგი, როს საფლავში მიწის მიყრის მოუვიდა რიგი... ჰეინც იყო ოფიცერი ფაშისტური ჯარის იყო ლოთი, და მმარცველი. ახლა აღარ არის. კლათონ ზუზბაძე

ინგლისური იუმორი

რაც ომი დაიწყო ინგლისელები შეეჩვივნენ, როგორც სხვა ყუმბარებს, ისე შენელებული მოქმედების ყუმბარებსაც.

ერთ-ერთ იუმორისტულ ჟურნალში მოთავსებული ასეთი კარიკატურა:

ფერმერმა, რომლის მინდორზედაც დაეცა შენელებული მოქმედების ყუმბარა, ლობზე მიაკრა განცხადება: „ფრთხილად, აქ გდია შენელებული მოქმედების ყუმბარა!“ მიუხედავად ამისა, ცნობისმოყვარენი განაგრძობდნენ ნათესების ჯეცხას. მაგრამ საკმარისი გახდა ფერმერს გაეკეთებინა წარწერა: „ფრთხილად, ბულა აშვებულია!“ — და მის ნაკვეთზე რამდენიმე წამის შემდეგ ერთი ადამიანიც აღარ დარჩენილა.

იქვეა მოთავსებული მეორე კარიკატურა. ყუმბარით დანგრეული სახლის ნანგრევებიდან ამოდის ცოლ-ქმარი. ისინი განაგრძობენ დავას, რომელიც როგორც სჩანს, ადრე დაუწყიათ. ბოლოს ქმარს მოსწყინდა დავა.

— კარგი, კარგი,—უბნება ის,—დეე ისე იყოს, როგორც შენ ამბობ. შესაძლებელია ის მართლაც მოუზუნენ ყუმბარა იყო.



ისტორიამ თავისი გზა იმის

ნახ. კ. პირადოვისა

ქალი გველსა სწოვს

ნახ. მ. ფირცხალავასი



— რას იტყვით ფიურერის როლის შესახებ ისტორიაში?

— იმას, რომ ისტორია, რომელშიც გაიხლართა ფიურერი, ფრიად მალე და ფრიად სავალალოდ დამთავრდება მისთვის.

**ქალური ლუკმა**

ნახ. ე. მარკოსიანისა



— საკვირველია, ფრაუ, როგორ შორიდან მიცნო თქვენმა ძალმა.  
— ყნოსვა აქვს კარგი, მგლებზე დაგეშილი.

**ქრიული დასაულავება**

„გერმანელები ტანსაცმელს ხლიან მოკლულ თავიანთ ჯარისკაცებს და გვამებს მდინარეში ჰყრიან.“  
გაზეთებიდან

ნახ. გ. ყიფშიძისა

ჰიტლერი: (ანტონესკუს) ქუცი, ქუცი ანტონ! მე შენ ამ ლუკმას გადმოგიგდებ, თუ შენ საზარბაზნე ხორცს არ მომაკლებ.


**მოასწრეს**

ნახ. გ. იაშვილისა და გ. გელაშვილისა



— დახვრიტეთ ყველა, ვისაც კი საბჭოთა ფურცელი აღმოაჩნდება.

— ნება მომეცით მოგახსენოთ—ასეთი უკვე არავინ არის, რადგან ვინც კი ხელში საბჭოთა ფურცელი ჩაიგდო, წითელი არმიის მხარეზე გადავიდა.



სძარცვავენ და წყალში ჰყრიან, არც საფლავი, აღარც ჯვარი, ამნაირად მარადდება ფაშისტების შავი ჯარი.

97-501  
ქართული  
პერიოდიკა



პარაშუტისტის გამომეტყველება საერთოდ, როცა წვიმა მალ-  
ლიდან დაბლა მოდის

გერმანელი პარაშუტისტის გამომეტყველებას კერძოდ, როცა  
„წვიმა“ დაბლიდან — მაღლა მიდის.